ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №100

24 აპრილი 2013 წ.

ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებისათვის“ (ს/კ - 242009027) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებას“ (ს/კ - 242009027) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება დანართის მიხედვით, საერთო ღირებულებით - 125 510.28 (ასოცდახუთიათას ხუთას ათი და ოცდარვა) ლარი.
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს მუზეუმების განთავსება და გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა.
3. მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“-ს (ს/კ - 242009027) 2013 წლის 05 აპრილის №24 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	მიწის ღირებულება (ლარი)	ღირებულება (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	2			4	3		
1	შენობა-ნაგებობა	ჩოხატაური, სოფ. ხიდისთავი	2034	7322.4	91422	28.09.22.268	ნ.დუმბაძის სახლ-მუზეუმის განთავსების მიზნით
2	შენობა-ნაგებობა	ჩოხატაური, სოფ. დაბლაციხე	166	597.6	2540	28.14.24.031	ნ.მარის სახლ-მუზეუმის განთავსების მიზნით
3	შენობა-ნაგებობა	ჩოხატაური, სოფ. ქვენობანი	1848	6652.28	1330	28.08.24.103	მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმის განთავსების მიზნით
4	შენობა-ნაგებობა	დაბა, დუმბაძის ქუჩა № 13	620	7440	8206	28.01.22.131	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განთავსების მიზნით
				22012.28	103498		
	სულ:			125 510.28			